

დევიდ ლინჩი საქართველოს ოთხი დღით ეწვევა – რა პროგრამა აქვს ცნობილი რეჟისორს



18 ნოემბერს საქართველოში ცნობილი ამერიკელი რეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი დევიდ ლინჩი ჩამოდის. ჩვენს ქვეყანას ეწვევა ასევე დევიდ ლინჩის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, ბობ როთი.

აღსანიშნავია, რომ ეს დევიდ ლინჩის პირველი ვიზიტი იქნება საქართველოში, სადაც მისი ფონდის წარმომადგენლობა დაარსდა. დევიდ ლინჩის ფონდი კავკასიის პრეზიდენტი რეჟისორი და მუსიკოსი გიგა აგლაძეა. ფონდი საქართველოში 2017 წლის 25 ივლისს დაფუძნდა და საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს აერთიანებს.

დღეს, „თბილისი მარიოტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე, დევიდ ლინჩის ვიზიტის

მნიშვნელობასა და დაგეგმილ პროგრამაზე ისაუბრეს.

როგორც აღინიშნა, ლინჩსა და მისი გუნდის წევრებს საშუალება ექნებათ, გაეცნონ ქვეყნის კულტურას, ისტორიასა და ტრადიციებს. დაგეგმილია „მალჰოლანდ დრაივის“ ჩვენება კინო „ამირანში“ (20 ნოემბერი, 19:00 სთ), ამავე დღეს შედგება შეხვედრა სტუდენტებთან, რომელიც კლუბში „ხიდია“ დაგეგმილი, საღამოს ხუთ საათზე. აქ რეჟისორი ძირითადად ტრანსცენდენტული მედიტაციისა და საზოგადოებისთვის მისი მნიშვნელობის შესახებ ისაუბრებს.

დაგეგმილია რეჟისორის შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, კულტურის მინისტრსა და თბილისის მერთან. ფონდი მადლობას უხდის პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს, მის ხელმძღვანელს მარიამ ჯაშს დაგეგმილი ღონისძიებების მხარდაჭერისთვის.

გიგა აგლაძე, რეჟისორი:

ოთხდღიანი ვიზიტი აქვს დევიდს ამჯერად. საკმაოდ დატვირთული ვიზიტია, შეხვედრებია სახელმწიფოს წარმომადგენლებთან, ასევე საზოგადოებათან, ვისაც აინტერესებს მისი შემოქმედება, კინოინდუსტრია. საუბარია ერთ პროექტზე, თუმცა არ მაქვს უფლება, ვილაპარაკო წინასწარ, რომელსაც სავარაუდოდ, შემდეგ წელს განვახორციელებთ ერთად. კულტურის მინისტრთან საუბარი შედგება სამომავლო თანამშრომლობაზე. უფრო თამამად სამომავლო გეგმებზე მას შემდეგ ვისაუბრებ, რაც დევიდ ლინჩი საქართველოს დატოვებს.

DAVID LYNCH WILL VISIT GEORGIA FOR FOUR DAYS – WHAT PROGRAM WILL HAVE THE FAMOUS FILM DIRECTOR

The famous American film director, scriptwriter and a producer David Lynch will arrive in Georgia on the 18th of November. The CEO of David Lynch Foundation Bob Roth will also be visiting our country.

It has to be noted that this will be David Lynch's first visit in Georgia where the representative office of his foundation has been opened. The President of David Lynch Foundation Caucasus is a film director and a musician Giga Agladze. The foundation has been established in Georgia on the 25th of July of 2017 and unites Georgia, Azerbaijan and Armenia.

Today at the press-conference held in the hotel "Tbilisi Marriott" the representatives have spoken about the significance and a program of David Lynch's visit.

As it has been mentioned Lynch and his team members will have a possibility to get acquainted to the culture, history and traditions of the country. The film "Mulholland Drive" will be screened at the film theatre "Amirani" (20th of November, 19:00), the same day a meeting with the students will be held in the club "Khidi" at five PM. The film director will speak about Transcendental Meditation and its importance for the society.

The film directors will also have meetings with the Prime Minister of Georgia, Minister of Culture and a city Mayor. The foundation thanks the Committee of Culture, Science and Education as well as its Chairperson Mariam Jashi for their support in organizing the scheduled events.

Giga Agladze, the film director:

David's visit will be four day long this time. His schedule is quite busy. He'll have meetings with the Government, as well as the broad public, everyone who is interested in his works and film industry. The negotiations will be held about one project but I'm not allowed to speak in advance, but most probably we'll fulfill it together next year. The negotiation will be held with the Minister of Culture about the future cooperation. We'll be able to speak more boldly about our plans after David Lynch leaves Georgia.